საწყობის ოპერირება (ინტეგრირებული) - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ანონსი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საწყობის ოპერირება; Warehousing

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; Secondary Vocational Qualification in Warehousing

კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე

დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

დასაქმების შესაძლებლობებია: საბაჟო, კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და მაცივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოს თანამშრომლის ან ტვირთის ამწონის თანამდებობაზე.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის ოდენობით; 4 ინტეგრირებულ მოდულს 56 კრედიტის ოდენობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის რაოდენობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 146 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 31 თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;
- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის; სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.